საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მარალეთი

მარალეთი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ერედვის მუნიციპალიტეტში (გერის თემი), გუდისის ქედის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 1620 მ, ცხინვალიდან 22 კმ. 1991-მდე შედიოდა ცხინვალის რ-ნში.

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

სოფელში შემორჩენილია მცირე ზომის დარბაზული ტიპის ეკლესიის ნანგრევები. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 1–1,5 მ-ია.

ლიტ.: შიდა ქართლი, პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქიტექტურული მემკვიდრეობა (ც. დადიანიძის რედაქტორობით), თბ., 2002.